

მექსიკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების საწყვრთნელი კოსტუმი.
ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).



მექსიკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა ნაკრების სპორტსმენი ქალების ყოველდღიური ფორმა. ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

# საპეია — 100 მ 10 წამში!

ლენინგრადი, 20 ივლისი. ზნამენსკების დღეს აქ გახსნილ შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ბელორუსიელმა სპრინტერმა ვლადიმერ საპეიამ: 100 მ. მან ზუსტად 10 წამში გაირბინა. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

# ქართველი ფალავნები — I ადგილზე



ქიევი, 20 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სიჭაბუკის I საზაფხულო თამაშებში გაგვახარეს საქართველოს ხელბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა: ჭაბუკებმა დაამარცხეს უზბეკეთის გუნდი (25:22) და ფინალში გავიდნენ. ამასთან, ფინალურ ასპარეზობაში მომგებიანი ქულა გადაჰყვათ რსფსრ-ს ნაკრებთან გამარჯვების წყალობით. იმარჯვეს გოგონებმაც, რომლებმაც ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა ყაზახეთის გუნდს მოუგეს — 11:7. ისინი უკრაინელებთან ერთად ფინალურ ექვსეულში გავიდნენ, მაგრამ ორი წამგებიანი ქულით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრე ჩვენი გუნდები ფინალში არასოდეს გასულან, ეს უთუოდ დიდი მიღწევაა.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი რესპუბლიკის ათლეტების შედეგები ასეთია: 48 კგ — მ. ჩხაიძემ მეხუთე წრეში ქულებით მოიგო, მაგრამ შემდეგ ასევე ქულებით წააგო მომდევნო შეხვედრა და საბოლოოდ II ადგილს დასჯერდა (ჩემპიონია რსფსრ-ს წარმომადგენელი ფედოსოვი; III ადგილზე გავიდა თურქმენეთის გუნდის წევრი ტერაკოფიანი); 52 კგ — ჩემპიონი გახდა ნასიროლაევი (რსფსრ), II ადგილი დაიკავა დარგუნოვმა (მოსკოვი), III — ჩვენმა ნ. ღვინჯილიამ, რომელმაც ჩემპიონთან წააგო; 56 კგ — მეხუთე წრეში მ. ლუტიძემ ფრედ დაამთავრა შეხვედრა და II ადგილს დასჯერდა (გაიმარჯვა რსფსრ-ს წარმომადგენელმა მარკუნოვმა, III ადგილზეა აზერბაიჯანის გუნდის მოჭიდავე აბრამიანი); 60 კგ — უძლიერესის წოდება დაისაკუთრა ბიძიკოევმა (რსფსრ), II ადგილზეა ტ. გაგუა. უნდა აღინიშნოს, რომ მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, ხოლო ჩემპიონთან ბრძოლა ფრედ დაამთავრა. III ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრების წევრი სობოლევსკი (ბელორუსია); 65 კგ — ჩემპიონი გახდა უკრაინელი კაცუბა, II ადგილზეა ნეჩესპულოვი (მოლდავეთი), III — კამაგლი-ოღლი (ტაჯიკეთი). ქართველმა მოჭიდავემ ა. ხოხაშვილმა კაცუბასთან წაგების შემდეგ მხოლოდ IV ადგილი დაიკავა; 70 კგ — რსფსრ-ს ათლეტი აშურალიევი ერთადერთი იყო მოჭიდავეთა შორის, რომელსაც არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. II ადგილზეა კ. სუთიაშვილი, III — ოსიპოვი (ლენინგრადი); 75 კგ — ამ წონაში პრიზიორები არიან: ტაგიროვი (რსფსრ), ფეკინი (ყაზახეთი), მიხიევი (აზერბაიჯანი); 81 კგ — გაიმარჯვა მელქუმიანმა (სომხეთი), II ადგილზეა რაპიდოვი (ბელორუსია), III — მ. შიოშვილი; 87 კგ — I. რუდერმანი (ბელორუსია), II. თ. ბენდიანიშვილი (საქართველო), იკაევი (რსფსრ); 87 კგ-ს ზევით — მსაჯებმა ნ. მოდებაძესთან ორთაბრძოლაში საეჭვო გამარჯვება მიაკუთვნეს რსფსრ-ს სპორტსმენს ანდიევს, რის გამოც ქართველ ათლეტს II ადგილი ხვდა. III ადგილზეა ლეონოვი (ბელორუსია).

გუნდურ ჩათვლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მოჭიდავეებმა — 149 ქულა. II ადგილზე არიან რსფსრ-ს სპორტსმენები — 143, III — უკრაინის წარმომადგენლები — 125.

ჩვენი გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს უფროსმა მწვრთნელმა გ. როსტიაშვილმა, მწვრთნელებმა მ. ოსიყმაშვილმა, ვ. არსენიანმა, ა. გოგიშვილმა და გ. გაროზაშვილმა.

თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში პრიზიორებს შორის არ ჩანდნენ ისეთი მოწინავე გუნდების წარმომადგენლები, როგორიც არიან მოსკოვის, უკრაინისა და სომხეთის კოლექტივები. გაიმარჯვეს ბელორუსიის ჭაბუკებმა, რომელთა უფროსი წარმომადგენლები თანამედროვე ხუთჭიდში არასდროს ბრწყინავდნენ. გუნდურ ჩათვლაში მათ 15.999 ქულა მოაგროვეს. II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები — 15.366, III — საქართველოს ხუთჭიდელები — 15.299.

პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ი. ეიდელმანმა (ბელორუსია) — 4870 ქულა. საქართველოს გუნდის წევრი ჰ. რუბენიანცი V ადგილზე გავიდა — 4497.

ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში 3 ვარჯიშის შემდეგ 8488 ქულით დაწინაურდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები. საქართველოს წარმომადგენლები 4810 ქულით V ადგილზე არიან.

აკრობატთა ასპარეზობა. ოსტატთა პროგრამის სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ გოგონებიდან ხტომაში დაწინაურდა ბუტენკო (უკრაინა) — 37,05 ქულა. ჭაბუკებში I ადგილზეა კოზიუკი (უკრაინა) — 37,15 ქულა. II ადგილზეა ტიმოფეევი (რსფსრ) — 36,6, III — ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ჯ. ლაშხი — 36,5.

მძლეოსანთა შედეგებიდან აღსანიშნავია საშუალო ასაკის გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდი 200 მეტრზე რბენაში (24,2), რომლის ავტორია 15 წლის სვერდლოვსკელი მოსწავლე ლ. ჟარკოვა. სიგრძეზე ხტომაში კარგი შედეგი აჩვენა 18 წლის მოსკოველმა ტ. ბიჩკოვამ — 631 სმ.

გუნდური შეჯიბრებები 17 სახეობიდან ექვსში დამთავრდა. კვლავ ლიდერობენ რსფსრ-ს წარმომადგენლები — 111 ქულა. მათ 5 ქულით ჩამორჩებიან უკრაინის ჭაბუკები და ქალიშვილები. 96 ქულით III ადგილზე არიან მოსკოველები.

ჯ. ენუქიძე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 142 (3626)

21 1968 წ. ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


## ჭადრაკი საათი!

◆ ოხრიდი (იუგოსლავია), 20 ივლისი. მაკედონიის დედაქალაქიდან საერთაშორისო „სოლიდარობის ტურნირის" გასაგრძელებლად აქ ჩამოსულმა მოჭადრაკეებმა მორიგი, VII ტური გაითამაშეს. გელერმა (სსრ კავშირი) მოუგო მარიჩს (იუგოსლავია), სავონმა (სსრ კავშირი) — ბ. ილიევსკის (იუგოსლავია), მატულოვიჩმა (იუგოსლავია) — ვეიდს (ინგლისი). პარტიები: პარმა — დ. ილიევსკი (ორივე — იუგოსლავია), ბუკიჩი (იუგოსლავია) — პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) და გეორგიუ (რუმინეთი) — ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) ყაიმით დამთავრდა. 7 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატი სავონი — 5,5 ქულა. ლიდერს კვალში ჩაუდგნენ ჰორტიში (5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ჰორტი (5), გელერი, პოლუგაევსკი, მატულოვიჩი (4,5-4,5), გლიგორიჩი (4 ქულა და 1 გადადებული პარტია).

◆ იბსი (ავსტრია), 20 ივლისი. სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში გადადებული პარტიების დამთავრებამ ნათელი მოჰფინა სატურნირო ცხრილს. პირველ ჯგუფში გაიმარჯვა სსრ კავშირის გუნდმა — 11,5 ქულა 16-დან. II ადგილზე არიან რუმინელები — 10,5. ხუთი წინასწარი ჯგუფის შეჯიბრებებში ქულათა თანაფარდობის გამო მსაჯთა კოლეგიამ კოეფიციენტების ცხრილს მიმართა, რის შედეგადაც განისაზღვრა პირველი ფინალური ჯგუფის საბოლოო შემადგენლობა. მასში შევიდნენ (კენჭისყრის მიხედვით): 1. გფრ, 2. ბულგარეთი, 3. აშშ, 4. დანია, 5. იუგოსლავია, 6. ისლანდია, 7. სსრ კავშირი, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. რუმინეთი, 10. გდრ.

◆ ამსტერდამი, 20 ივლისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა იუგოსლავიელი დიდოსტატი ივკოვი — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ჩეხოსლოვაკიელი კავალეკი (დაამარცხა ჰოლანდიელი კუიპერსი) და იუგოსლავიელი მაროვიჩი (ყაიმით დაამთავრა პარტია ბრონშტეინთან). საბჭოთა მოჭადრაკეებს ჯერჯერობით მოკრძალებული შედეგები აქვთ: ბრონშტეინმა 2 ქულა დააგროვა, შამკოვიჩმა — 1,5, კოტოვმა კი სულ 0,5 (შამკოვიჩსა და კოტოვს 2-2 პარტია არ დაუმთავრებიათ).

## ქალთა ტურნირი

● ვლადიმირი, 20 ივლისი. აქ დამთავრდა რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: I. რ. ბილუნოვა — 8,5 ქულა 11-დან, II-III. სსრ კავშირის ჩემპიონი მ. რანიკუ, თ. ბელოვა — 7,5-7,5 (სამივე — სსრ კავშირი). შემდეგ არიან: ა. გეორგიევა (ბულგარეთი), ნ. კოლოტი — 6,5-6,5, ო. იგნატიევა (ორივე — სსრ კავშირი) — 6, მ. პეროვოზნიკი (რუმინეთი), ლ. შადურა — 5,5-5,5, ტ. ბუდკოვა (ორივე — სსრ კავშირი) — 4,5, მ. ლიტმანოვიჩი (პოლონეთი), ლ. ჰონფი (უნგრეთი) — 4-4, ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) — 0.

## ისრები მიზანს ხვდება

მოსკოვის ცენტრალური სტადიონის საბავშვო მოედანზე სამ დღეს გაგრძელდა სსრ კავშირისა და ფინეთის მშვილდოსანთა საერთაშორისო მატჩი. მეტოქეებმა საასპარეზოდ საუკეთესო სპორტსმენები გამოიყვანეს: სტუმრების გუნდში იყვნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ლინდჰოლმი, ფინეთის ჩემპიონი ი. სანდელინი და რეკორდსმენი ლ. სტენრუზი; მასპინძელთა შორის — ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი, ლვოველი ნ. კოზინა, რეკორდსმენი ლ. გრიშჩენკო (კიევი), საერთაშორისო სპორტის ოსტატი ვ. სიდორუკი (ლვოვი)...

სპეციალისტები გამარჯვებას ლინდჰოლმს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სტარტმა პროგნოზები არ გაამართლა. — თავიდანვე დაწინაურდა ჰელსინკის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ქალი მ. ნიულენიუსი: 70 და 30 მეტრზე სროლაში მან 1094 ქულა დააგროვა. სტუმარს 21 ქულით ჩამორჩებოდა კოზინა. ვაჟებშიც სტუმრები იყვნენ წინ: კ. ლაასონენი და ი. სანდელინი. სიდორუკი III ადგილზე გავიდა, მაგრამ წინ იყო პროგრამის კიდევ ნახევარი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლინდჰოლმი ამაოდ დაშვრა: ნიულენიუსმა ბრწყინვალედ ჩაატარა ფინალიც. საბოლოოდ 2214 ქულა დააგროვა და პირველობა იზეიმა. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი კოზინა II ადგილზე გავიდა — 2159 ქულა. მესამე იყო მოსკოველი ე. გალჩენკო — 2088. მან საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ვაჟებში ფინელთა „ტანდემის" (კ. ლაასონენი — ი. სანდელინი) განცალკევება შეძლო სიდორუკმა, რომელიც ლაასონენის შემდეგ II ადგილზე გავიდა.

გუნდურ ჩათვლაში სტუმრებმა გაიმარჯვეს.

ეს გახლდათ საბჭოთა მშვილდოსნების პირველი საერთაშორისო მატჩი.



სურათზე: ქალთა ტურნირის მონაწილენი სტარტზე. წინა პლანზე თქვენ ხედავთ (მარცხნიდან) ნ. კოზინას, ტ. ლიტეროვას (სსრ კავშირი) და ფინელ მ. ლაპტონენს.
ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# ისევ ჩოხატაურის გუნდი!

ლელობურთში „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილენი: აფხაზეთის, აჭარის, წალენჯიხის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და გურჯაანის გუნდები ამჯერად ჩოხატაურში შეიკრიბნენ.

მოასპარეზენი თავიდან ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. პირველ ქვეჯგუფში შევიდნენ ჩოხატაურის, წალენჯიხის, სამტრედიის, ჩხოროწყუსა და აფხაზეთის კოლექტივები.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი ფინალში I-II ადგილებისთვის ითამაშებდნენ, ხოლო მეორე ადგილებზე გასულნი — III-IV ადგილებისთვის და ა. შ.

I ქვეჯგუფში მასპინძლებმა შეხვედრები კარგად ჩაატარეს და ყველა მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს. მათ მოუგეს წალენჯიხის (19:1), აფხაზეთის (18:3), სამტრედიისა (17:5) და ჩხოროწყუს (18:2) ლელობურთელებს. II ადგილზე გავიდნენ სამტრედიელი ლელობურთელები, რომლებმაც იოლად სძლიეს წალენჯიხის (19:2), აფხაზეთისა (17:0) და ჩხოროწყუს (13:4) გუნდებს.

II ქვეჯგუფში იმარჯვა აჭარის ნაკრებმა, რომელმაც დიდი ანგარიშით სძლია ზუგდიდის გუნდს (34:3), შემდეგ ასევე დიდი სხვაობით მოუგო გურჯაანის კოლექტივს (22:2) და ბოლოს, გეგეჭკორის ნაკრებს — 11:7.

II ადგილი წილად ხვდა ზუგდიდის კოლექტივს, რომელსაც არც ერთი მატჩი არ მოუგია. ერთადერთი გამარჯვება ზუგდიდელებს მიეკუთვნათ იმის გამო, რომ მათ წინააღმდეგ გურჯაანის გუნდში თამაშობდა განაცხადში შეუტანელი სპორტსმენი.

ფინალში მოსალოდნელი იყო დაძაბული ბრძოლა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა: აჭარის ნაკრებმა, რომელსაც ალბათ II ადგილიც აკმაყოფილებდა, მაინცდამაინც არ მოიკლა თავი და დიდი ანგარიშითაც დამარცხდა ჩოხატაურელებთან — 4:30. III ადგილისთვის ბრძოლაში სამტრედიელებმა მოუგეს ზუგდიდის ლელობურთელებს — 15:5.

ამრიგად, შარშანდელ ასპარეზობაში გამარჯვებულმა ჩოხატაურელებმა შეინარჩუნეს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა. ტურნირის დამთავრების შემდეგ ამ გუნდის ლელობურთელებს გადაეცათ საქართველოს სპორტის ოსტატის ნიშნები, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი და დიპლომები. დიპლომებით დაჯილდოვდნენ გუნდის უფროსი მ. გიორგაძე და მწვრთნელი ს. მინდაძეც. II და III ადგილებზე გასულ გუნდებს შესაბამისი ხარისხის დიპლომები გადაეცათ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდეს მახარაძის, ხობის, წულუკიძისა და ლანჩხუთის „კოლმეურნის“ კოლექტივებმა. აღმოსავლეთ საქართველოდან გუნდის გამოყვანა მარტო გურჯაანმა შეძლო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, გორისა და სხვა რაიონებში, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთში, ამ სახეობის განვითარებისთვის არ ზრუნავენ.

შ. კულულაშვილი,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

* * *

სურათებზე: (ზევიდან ქვევით) — ჩოხატაურისა და აჭარის გუნდების ფინალური შეხვედრის მომენტი; ჩოხატაურის გუნდი; „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი შ. კულულაშვილი თასს და დიპლომს გადასცემს ჩოხატაურის გუნდის უფროსს მ. გიორგაძეს.

ფოტო ი. შაქარაშვილისა.







წერილი რედაქციას

## რატომ არა გვაქვს საჭადრაკო კლუბი?

დღითი-დღე მშვენდება მეტალურგთა ქალაქი რუსთავი: იგება ახალი საცხოვრებელი კვარტალები, ფართოვდება კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, მაგრამ ჭადრაკის მოყვარულებს არაფერი გვეშველა — ჩვენი კლუბის საკითხი დღემდე ვერ მოგვარდა.

მართალია, ქიმიკოსთა კულტურის სახლში ერთი პატარა ოთახი დაგვითმეს, გამოიყო მეცადინეობის დღეები, საათები, მაგრამ ოთახი, სადაც 5-6 კაცი თუ დაეტევა, სამუშაოდ არ გამოდგება. არც კვალიფიციური მწვრთნელი გვყავს.

რუსთავში ბევრი თანრიგოსანი მოჭადრაკე ცხოვრობს. ვფიქრობთ, დროა მათ ინტერესებს ყურადღება მიექცეს.

გ. სამხარაძე,
ს. სააკიანი,
პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეები.

რუსთავი.

# „საქართველო-68“

ავტორალი ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ მაინც ბევრი მიმდევარი ჰყავს. დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ გამართულ ამასწინანდელ ტურნირში, რომელიც ჩატარდა სახელწოდებით — „საქართველო-68“, მასპინძელთა გარდა აზერბაიჯანის ეკიპაჟებიც მონაწილეობდნენ.

რალი ბერძნული სიტყვაა და ერთი ტურნირის რამდენიმე სახეობაში შეჯიბრებას გულისხმობს. ავტორალის პროგრამაში, მაგალითად, წრიული რბოლა, საგზაო, საიპოდრომო და ფიგურული სვლა შედიოდა. მონაწილეთ საასპარეზო მარშრუტის გავლა ზუსტად მოცემული პარამეტრებით უხდებათ, ამასთან, თითქმის 48 საათს შეუსვენებლივ დადიან.

სტარტის წინ სპორტსმენს ეძლევა სამარშრუტო რუკა, რომელზეც აღნიშნულია მოძრაობის მიმართულება და გასავლელი პუნქტები, აგრეთვე, პუნქტებს შორის არსებული მანძილი და მის დასაფარავად განკუთვნილი დრო. სპორტსმენმა ამის მიხედვით უნდა გამოიყვანოს საშუალო სიჩქარე. მაგრამ შეჯიბრების მონაწილემ არ იცის, სად იქნება საკონტროლო პუნქტები. ამ უკანასკნელის დანიშნულებაა თვალყური ადევნოს მოასპარეზეთ, რომ მათ ზედმეტი სისწრაფე არ დაუშვან. დანიშნულების პუნქტში სპორტსმენს ყოველი დაგვიანებული წუთისთვის 100 საჯარიმო ქულა ეწერება.

მარშრუტი ასეთი იყო: პირველ ეტაპზე სპორტსმენებმა სტარტი თბილისში აიღეს. მათ უნდა გაევლოთ მარნეული, ბოლნისი, სტეპანავანი, კიროვაკანი, ლენინაკანი, გუკასიანი, ბოგდანოვკა, ბაკურიანი, ბორჯომი, ხაშური და გორი. შემდეგ, მეორე ეტაპზე შეჯიბრების მონაწილენი გზას ასეთი მარშრუტით აგრძელებდნენ: თბილისი — გორი — ცხინვალი — ონი — ტყიბული — ქუთაისი — მაიაკოვსკი — საირმე — ახალციხე — ახალქალაქი — ბოგდანოვკა — წალკა — თბილისი.

ტურნირში „ვოლგისა“ და „მოსკვიჩის“ კლასის 20 მანქანა მონაწილეობდა. მათ გზადაგზა რთული დაბრკოლებები ელოდათ. ერთ-ერთმა ასეთმა წინაღობამ — დიდმა თოვლმა ზეკარის უღელტეხილზე მწყობრიდან გამოიყვანა „მოსკვიჩების“ უმეტესობა. ამ კლასში კარგად იარეს გ. თვაურმა და ი. პოლტორაცკიმ, რომლებმაც მანამდე ძალა სცადეს საკავშირო ტურნირში („ადლერი-68“) და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. მაგრამ ამჯერად ფინიშამდე ვერც მათ მიაღწიეს.

შეჯიბრებაში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, სპორტსმენებმა 1300 კილომეტრზე მეტი გაიარეს. ამასთან, თბილისში ისინი სლალომსა და სპრინტში ჩაებნენ, ქუთაისში — ფიგურულ სვლაში იასპარეზეს და მრავალი დაბრკოლების შემდეგ შინ დაბრუნდნენ.

საერთო გუნდურ I ადგილზე გავიდა თბილისის მსუბუქი ტაქსების მე-3 კონტორის პირველი ნაკრები. ამ დაწესებულების მეორე გუნდმა II ადგილი დაისაკუთრა. III ადგილი წილად ხვდა მსუბუქი ტაქსების 1-ლი კონტორის პირველ გუნდს.

„ვოლგებით“ შეჯიბრების პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ე. ლოგინოვისა და ვ. სავიცკის ეკიპაჟმა (მე-3 კონტორა). მათი თანაგუნდელები ა. ღლონტი და რ. გალუსტიანი II ადგილზე გავიდნენ. III ადგილი დაიკავა მე-2 ავტოსატრანსპორტო კონტორის დუეტმა ს. მირზოიანისა და ს. კიკვილიშვილის შემადგენლობით.

„მოსკვიჩებით“ ასპარეზობაში გამარჯვება მიეკუთვნათ პირადი ტურნირის მონაწილეებს პ. ფიქრიშვილსა და გ. გოგინაშვილს.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ტურნირის დისტანციის უფროსი.

## გორის რაიონში

პირველობაში „ტყავის ბურთის პრიზზე“ ნორჩ ფეხბურთელთა 42 გუნდი მონაწილეობდა.

უმცროს ასაკში გაიმარჯვა სოფ. ზელდულეთის „ტრიუფმა“, ხოლო უფროს ასაკში — სოფ. ატენის „ტანამ“.

* * *

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა კალათბურთელთა შეჯიბრება. ქალთა შორის გამარჯვება წილად ხვდათ სოფ. ვარიანის წარმომადგენლებს, ვაჟთა შორის კი ხელთუბნელებს.

* * *

100-ზე მეტი სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირად-გუნდურ პირველობას ქართულ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა სკრის კოლექტივმა. პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გაბინაშვილმა (ქვახვრელი), ფალელაშვილმა (ხელთუბანი), ზაალიშვილმა (კარალეთი), ბესიაშვილმა (ზერტი), ბახტაძემ (ხელთუბანი), ბეთლემიძემ, მამულაშვილმა (ორივე — სკრა), პეტუაშვილმა (კარალეთი).

გ. გოზალიშვილი.

## გურჯაანი

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა მოიგეს. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა რ. მანუკიანმა.

ი. ოდიშელიძე.

## ზესტაფონი

სოფელ ცხრაწყაროში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა წლების მანძილზე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ბოლო ორ წელიწადში კოლმეურნეობის თავმჯდომარის კ. ნიჟარაძისა და ფიზკულტურის მეთოდისტის გ. ქღენტის უნარიანი ხელმძღვანელობით სურათი შეიცვალა. უკვე მოაწყვეს ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი, მოჭადრაკეებსა და მოშაშეებს ცალკე ოთახი გამოუყვეს.

ა. განუგრავა.

# სპორტი და ინტელექტი

## XIX საუკუნის 60-80-ანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე

„სული და ხორცი ადამიანისა, — ...რდა გ. იოსელიანი 1884 წლის „ნო...ში" (№ 1), — ისე მჭიდროდ ...კავშირებულია ერთმანეთთან, რომ ...თის მათგანის უმეორესოდ გახსნა ... აღზრდა სრულ აღზრდად ვერ ჩაი...ლება და თითქმის შეუძლებელიც ...ის. ძველ დროს მეცნიერნი ამბობ...ნენ, რომ საღი და ძლიერი სული ...ოლოდ საღ და ძლიერ სხეულში იმ...ფება, და მართალიც არის". მსგა...ი შეხედულება წარმოადგენდა გასუ...ი საუკუნის 60-80-ანი წლების ქარ...ული პრესის ამოსავალ წერტილს ...დამიანის ინტელექტზე ფიზიკური აღ...რდის ზემოქმედების განსაზღვრაში. ...ფიზიკური აღზრდა, ავითარებს რა ...ფიზიკურ თვისებებს, სა...ურველ საფუძველს ქმნის ადამიანის ...ონებრივი განვითარებისთვის. ფიზიკუ...ი აღზრდა, როგორც „საქართველოს ...ამბე" მიუთითებდა (№ 7, 1863 წ.), ...ნიადაგს იმისთვის, რომ ... სხეული იყვეს ღირსეული ჭურ...ლი ღვთის სულისა". მართალია, ზო...ერთი ქართული გაზეთი და ჟურნა..., განსაკუთრებით კი „დროება", ...ფრო ღრმად სწვდება საკითხს და შე...ნაბეჭდ ... ცნობილი ანტიკური გა...ქმა ... ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი ...ლიაო, ყოველთვის ვერ პოულობს ...მართლებას, მაგრამ ამ ჟურნალ-გა...ების ფურცლებზე მაინც იმარჯვებს ...რი, რომ „სპეციალისტი-სწავლულის ...ომის ნაყოფი დამოკიდებულია იმის ...ულზედ და სიმრთელეზედ. მრთელი ...ა მაგარი გული ისე რიგათ არის სა...რიო ადვოკატისთვის და სახელმწიფო ...ათვის, როგორათაც განათლებული ...ნება" („დროება", № 22, 1867 წ.).

ქართული პრესის ფურცლებზე უხ...დ ვპოულობთ მითითებებს იმის თაო...ზე, თუ რა გავლენას ახდენს ფიზი...ური აღზრდა პიროვნების ინტელექ...უალურ აღზრდაზე, მისი გონებრივი ...რიზონტის გაფართოებაზე. 1883 ...ლს, როდესაც დასავლეთ საქართვე...ოს ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა ...ძვა საკითხი ყოველდღიურად სატა...რებელი იარაღის აკრძალვის შესახებ ...არაღის ხმარების ხელოვნება კი მა...ნ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ...იზიკურ ვარჯიშებთან), „დროება" ...ელი სისასტიკით დაესხა თავს ამ ...ნადადებების ავტორებს: „ევროპის ... პედაგოგნი, — წერდა ... 1883 წელს (№ 169), — ...მდენსა ყვირიან ფიზიკურ აღზრდაზე, ...ომ ხმა ამოეხრიწათ და ჩვენი საიდან...აც გამომტყვრალი რეფორმისტები ...მის მოსპობას ქადაგებენ, რაც საუკე...ესო საშუალებაა ფიზიკური აღზრდი...ა. იარაღი არამც თუ მარტო ფიზიკუ...ად, სულითაც ავარჯიშებს და ამაღ...ებს კაცის ბუნებას". ზუსტად იმასვე ...ღნიშნავდა უფრო ადრე (1876 წელს) „სასოფლო გაზეთი": ფიზიკური ვარ...იშობანი და ცხოვრების სწორი რეჟი...ი „მარტო ჩვენი გვამის აგებულებას ...ა ჯანმრთელობას კი არ აკეთებს, ...ონებას და ჭკვასაც კარგ თვისებას ...ძლევს" (№8). გაზეთის ერთ-ერთ ...ვტორის ი. ნათაძეს მტკიცედ სწამს, რომ ფიზიკური აღზრდა ძვირფასი ფიზიკური თვისებების განვითარებასთან ერთად „გონებას უმახვილებს" აღსაზრდელს.

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ჟურნალი „მნათობიც" (№ 5, 1871 წ.), რომელმაც დაბეჭდა ზურაბ მოენიძის (ა. ფურცელაძის) წერილი — „ჩვენი ჭკუის ძალა". წერილში განზოგადებულია მოწინავე უცხოელი მოღვაწეების (განსაკუთრებით, ოუენისა და ფურიეს) პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკური აღზრდის დარგში და გამოთქმულია მოწონება იმის თაობაზე, რომ მათს მიერ შერჩეულ „შექცევაებს" (ანუ გართობა-ვარჯიშებს) სარგებლობა მოჰქონდა ადამიანის „გონებისა და აგებულებისთვის".

აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ჟურნალ „ივერიაში". განსაკუთრებით ეს ითქმის ს. ხუნდაძის ვრცელ წერილზე — „ქართველთ ძველებური საერთო გართობა-ასპარეზობანი" (№ 1, 1885 წ.). „სხეულის ვარჯიშობას, — განმარტავს ავტორი, — როგორც კერძოდ ცალკე პირის, ისე საზოგადოდ მთელის ერის სიფხიზლისა და საღიანობისთვის პირველი ადგილი უჭირავს". ავტორის აზრით, მსგავსი როლი მეტნაკლებად შეიძლება შეასრულოს სპორტის ყველა სახეობამ, მუშტი-კრივმაც კი: „კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტი კარგი მხარე. ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო საქმეში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭრიახობას, რომელიც მას ბუნებით დაჰყოლია".

მასობრივი სპორტული დღესასწაულები, ქართული პრესის მიხედვით, სასურველ ზეგავლენას ახდენს არა მარტო უშუალოდ მონაწილეების, არამედ დამსწრეთა სულიერი თვისებების ამაღლებაზეც. „უწინ დღეობას ხალხი თავისუფლად თვალით ხედავდა მოძმეების ფიზიკურ ვითარებას, სიმარდეს, ძალას, მამაცობას და სხ. და გულში უღვივდებოდა სიყვარული და თაყვანისცემა ამ ვითარებისა" („დროება", № 107, 1881 წ.). სახალხო დღესასწაულების მოახლოვებისას (რომელთა პროგრამის ძირითად ნაწილს სპორტული გამოსვლები წარმოადგენდა) „კაცი რაღაც უჩინარის ძალით ერთი ორად მხნევდება, ერთი ორადა ჰგრძნობს თავის თავს და ერთი ორად ექცევა დაღალული და ნაჯაფი ძალ-ღონე" („დროება", № 12, 1884 წ.). უფრო მეტი, „მარტო წამიერი და დროსგასატარებელი მნიშვნელობა როდი აქვს ამგვარ დღესასწაულებს ხალხის ცხოვრებაში: ახალ მოზარდი შთამომავლობა ჰხედავს და ტყობილობს ამ დღეს — თუ როგორ უბრძვიათ და როგორ დაუცვიათ თავისი ქვეყანა... წინაპართა, და თვითონ იმათაც კეთილშობილური, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ებადება გულში" („დროება", № 17, 1876 წ.).

ქართულ პრესას ფიზიკური აღზრდა მიაჩნია მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის საუკეთესო საშუალებად; მისი აზრით, სპორტული საქმიანობა სასარგებლოდ ავსებს ადამიანის დღიურ რეჟიმს და უზნეური საქციელის გამოვლინების შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს. „სად წაიღოს, რაზედ მიაქციოს ქართველმა თავისი რაინდული ძალა და გრძნობა, რომელიც მის გულში სდუღს და ღელავს?" — სვამს კითხვას გაზეთი „შრომა" (№ 1, 1881 წ.). და თვითონვე უპასუხებს: „როდესაც მის ლტოლვილებას არავითარი არჩეული და განსაზღვრული საგანი, სამოქმედო და პატიოსანის შრომის ასპარეზი არა აქვს, მაშინ, რასაკვირველია, ეს ძალა ხშირად იმისთანა მავნებელს მოქმედებაზე იხარჯება, როგორც უსაზღვრო ქეიფი, ჩხუბი, ჩეხვა და სხვ." გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ს. მესხი, რომელიც განსაკუთრებით აფასებდა სიბრძნეს ზემოხსენებული ანტიკური გამოთქმისას, ხშირად მიუთითებდა, რომ ფიზიკური სისუსტე დედაა უზნეობისა, რომ „ფიზიკურ სისუსტეს, სიმდაბლეს, უეჭველად ჩვენს ზნეობის მხარეზედაც თავის შესამჩნევი გავლენა აქვს, სუსტი, უღონო, დამბლა კაცი თითქმის ყოველთვის გაიძვერობითა და ეშმაკობით გამოდის, თავის ენერგიისა, ძალის, მხნეობის იმედი რომ არა აქვს, ძალა-უნებურად გაიძვერობას, მელა-კუდობას უნდა მიმართოს, თუ უნდა, რომ ცხოვრებაში რამ მოიპოვოს. ეს თითქმის საზოგადო კანონია" („დროება", № 216, 1879 წ.).

„დროებას" ს. მესხის რედაქტორობის პერიოდში და შემდეგაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ რელიგიის ძალა უმთავრესად ფიზიკურად და სულიერად სუსტ ადამიანებზე იმარჯვებს. ამდენად, როგორც პროფ. გ. ზამბახიძე წერს, „დროება" (კერძოდ, მისი იდეური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი ნ. ნიკოლაძე) „სწორად დაყენებულ ფიზიკურ აღზრდას ქრისტიანულ-რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად თვლიდა". სწორედ ფიზიკური აღზრდის ამგვარი დანიშნულებაც უბიძგებდა „დროებას" ეთქვა შემდეგი სიტყვები: „რომელ ხალხში ნახავთ უკეთეს გამამხნევებელს და რაინდულ შეკრებილობებს, როგორც ჩვენშია? ბურთი, ჯირითი, ყაბახი, ჭიდაობა, კრივი, მარულა და ბევრი კიდევ სხვა ამ გვარი ნაციონალური თამაშობანი ამაღლებენ კაცს და ვგონებ ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვათ: ამაღლებენ არა მარტო მის ფიზიკურ მხარეს, არამედ ზნეობასაც" (№ 434, 1874 წ.).

კარგად მოწყობილი შეჯიბრება, ნამდვილი სპორტული ბრძოლის ამსახველი შერკინება ქართულ პრესას მიაჩნია აგრეთვე ადამიანის ესთეტიკური გემოვნების აღზრდის წყაროდ. ხშირად ესა თუ ის სპორტული შერკინება სწორედ ამ კუთხითაა შეფასებული პრესაში. სანიმუშოდ მოვიყვანთ ჟურნალ „ივერიაში" (№ 21, 1878 წ.) დაბეჭდილ ერთ-ერთ ანგარიშს, რომელიც ზემო ხანდაკში გამართულ ჭიდაობას აღწერს: „ჭიდაობაც გაიმართა — საჭიდაო ზურნაც დაჰკრეს და ორი ლომივით ბიჭი გადმოცვივდნენ ხალხიდგან ხტომით და თამაშობითა, შეიბნენ ლომნი, ზურნამაც მოუმატა თავისა ხმა! ხალხი სულ განაბული შესცქეროდა. აი, ბოლოს... მოიქნია ერთმა და ისე ლაზათიანად დასცა, რომ შენი მოწონებული. „მაღალი წოდების ხალხიდგან" მოისმა: სწორეთ რომ პოეტურად დაცაო. მართლაც რომ პოეტური იყო! აქ ზურნა, ზურნაზედ ჭიდაობა, გარშემო ხალხის ღელვა და თვალ-გაფაციცება — აცა, ვინ ჰსძლევსო, იქ ისე მამაცურად ზურგიდამ გადმოღება — პოეზიაა, მა რა არი!"

მაგრამ აი, 1881 წელს ქუთაისში ჩავიდა ტანმოვარჯიშეთა და ჯამბაზების ცირკი, „რომელიც დაჩვეული იყო ქუთაისში გამდიდრებას". პირველ წარმოდგენას ხალხი დაესწრო, მაგრამ შემდეგ აღარავინ გაჰკარებია. ქუთაისელი კორესპონდენტი ასე განმარტავს ამის მიზეზს: „ესთეტიკურ სიამოვნებას თქვენგან არაფერს ვღებულობთ და, ამიტომაც, ნურას უკაცრავად, თუ ფულები ვერ მოგართვით" („დროება", № 178, 1881 წ.).

არანაკლებ საინტერესოა, რომ გასული საუკუნის ქართულ პრესაში, განსაკუთრებით კი „დროებაში", ფიზიკური აღზრდა და სპორტული შეჯიბრებები დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა მეგობრობა, ოჯახის სიმტკიცე, ინტერნაციონალური სულისკვეთების გაღვივება და ა. შ. გააფთრებული კრივის შემდეგაც კი მონაწილენი „ერთმანეთს ძმურად ხელს ართმევენ და ესიყვარულებიან. ისინი ლოცავენ ამ ბედნიერ დღეს, რომ კარგად დროება გაატარეს" („დროება", № 24, 1876 წ.). „დროებაში" ხაზგასმითაა მითითებული, რომ სახალხო დღესასწაულებისა და სპორტულ შერკინებათა მივიწყებამ რამდენადმე დაამჩნია დაღი ქართული ოჯახების მონოლითურობას; თუ წინათ მთელი ოჯახი ერთ რომელიმე სახალხო თავყრილობაზე იყრიდა თავს და იღებდა მონაწილეობას სპორტულ დღესასწაულებში, „ახლანდელ ოჯახში („დროება" გულისხმობს 80-ან წლებს) ამგვარ დღესასწაულებს თან-და-თან ეფცქნებათ ოჯახური ქერქი და ჰხდებათ ცხოველი სული. ამ დღეობებში ოჯახის წევრნი ერთად აღარ ატარებენ დროს: ერთი კონცერტში მიდის, მეორე ბალში, მესამე სასეირნო ბაღში, მეოთხე კოფე-რესტორანში და სხვ".

სპორტულ შეჯიბრებათა ანგარიშებში „დროება" ყოველთვის განსაკუთრებით იხსენიებს უცხო ტომისა და სარწმუნოების წარმომადგენელთა მონაწილეობის ფაქტს. დამახასიათებელია ქართულ თამაშებში მონაწილე ქისტების, აზერბაიჯანელების, სომხების, „ყოველგვარ კავკასიის კაცის" ხელოვნება. მსგავსი ფაქტების მოტანით „დროება" აშკარად მიანიშნებს, რომ ქართული სპორტული დღესასწაულები ხელს უწყობენ სხვა ხალხებთან დაახლოებას, ადამიანში ინტერნაციონალური გრძნობის აღზრდას.

აი, ამგვარად ესმის XIX საუკუნის 60-80-ანი წლების ქართულ პრესას ფიზიკური აღზრდის როლი ინტელექტის ჩამოყალიბებაში. ეს იყო ფიზიკური აღზრდის მიზანდანიშნულების ჭეშმარიტად პროგრესული პოზიციებიდან შეფასების ნიმუში იმ დროისთვის.

**ა. ციბაძე,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანი.

# მხიარული ფანჯრით



სლალომის ტრასაზე.
(ჟურნალი „სპორტოვეცი", პოლონეთი).




უსიტყვოდ.

ნახ. ჭ. ჭანელიძისა.

## სსრ კავშირის პირველობა

ფეხბურთი




I „ა" კლასი ჯგუფი

# მეექვსე გოლი...

კუიბიშევი. „დინამოს" სტადიონი. 19 ივლისი.

„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

„კრილია სოვეტოვი": კოტლიაროვი, მაიოროვი, სახაროვი, კაპსინი, ვოლკოვი, ვერბოვსკი, გორშკოვი (კორსუნოვი), მარტინოვი, კაზაკოვი, ჟუკოვი, არიაპოვი (ტიმოშენკო).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჰელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, ხურცილავა, მეტრეველი, გ. ნოდია (ილიადი), გავაშელი.

მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

კუიბიშევის გუნდს ბოლო დროს ცუდად წაუვიდა საქმე. უფრო სწორად რომ ვთქვათ, „კრილია სოვეტოვს" კარგა ხანია მძიმე მდგომარეობა შექმნა. თავად განსაჯეთ: 17 მაისს ამ გუნდმა შინ მიიღო ალმა-ათის „კაირატი", დაამარცხა იგი (2:0) და თამაშების ცხრილში III ადგილზე ...დაინაცვლა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ „კრილია სოვეტოვის" გამარჯვება ...უნახავს. 17 მაისიდან მოყოლებული, ვოლგელებმა 7 მატჩი წააგეს და მხოლოდ 2 დაამთავრეს ფრედ; 11 ...ი გაუშვეს და მხოლოდ 4 გაიტანეს. გუნდი III ადგილიდან XIV ჩამოქვეითდა. ეს ბუნებრივიცაა: 18 შესაძლებლიდან 16 ქულის დაკარგვა სხვას რას მოგიტანს?

აი, ასეთი კატასტროფიული ბალანსით მიიღო „კრილია სოვეტოვმა" ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი — თბილისის „დინამო", გუნდი, რომელიც ახლა მყარ, სტაბილურ ფორმაშია და შესანიშნავი მაჩვენებლებიც აქვს მოპოვებული. ყოველ შემთხვევაში, კუიბიშეველ ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვება მოსკოვის „ტორპედოსთან" სულ ახლახან, 15 ივლისს.

და სწორედ ასეთ დროს, როცა საქმე გვაქვს ხოლმე ამგვარ აშკარა უთანასწორობასთან, ე. წ. სუსტი გუნდი ახდენს მთელი თავისი ძალისა და უნარის მობილიზებას, იმსჭვალება გამარჯვების რწმენით და საწადელსაც აღწევს.

ეს, რა თქმა უნდა, ეხება კუიბიშევის გუნდს. „კრილია სოვეტოვმა" განვლილ მატჩში გააკეთა მაქსიმუმი, რაც კი მას ძალუძდა, ითამაშა მთელი შესაძლებლობით და აიღო 2 ქულა, რომელიც მისთვისაც უაღრესად საჭირო იყო და... თბილისელთათვისაც. მასპინძლები ყოველმხრივი ქების ღირსი არიან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სტუმრებზე. დინამოელები როგორღაც მოუნდომებლად, თითქოს ნახევარი ძალით თამაშობდნენ და ეს პასიურობა გუნდს მესამე წაგებად და მეექვსე გაშვებული გოლის ფასად დაუჯდა.

ტაიმი საკმაოდ დუნედ ჩატარდა, დაბალ ტემპში და უინტერესოდ. შედარებით გამოსწორდა თამაში შესვენების შემდეგ. იყო შემთხვევები, როცა ხურცილავა, გავაშელი, ასათიანი ახლოს იყვნენ მეტოქის კარის ალებასთან, მაგრამ საერთო ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ. მათ საუცხოოდ გამოიყენეს დინამოელთა საერთო ინერტულობა და გაიტანეს გოლი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა. მატჩის დამთავრებას 10 წუთი აკლდა. თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მოწოდებული ბურთი თავით გაიტანა „კრილია სოვეტოვის" კაპიტანმა კაზაკოვმა და ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

**ა. ანუროვი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 21 ივლისისათვის

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შრ. რეზერვები" (გარდაბანი) | 15 | 13 | 1 | 1 | 32—8 | 27 |
| „მერეთი" (ლაგოდეხი) | 15 | 10 | 4 | 1 | 30—12 | 24 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 15 | 8 | 2 | 5 | 27—25 | 18 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 15 | 7 | 4 | 4 | 16—15 | 18 |
| „ვაზისუბანი" (გურჯაანი) | 14 | 6 | 5 | 3 | 33—25 | 17 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 14 | 7 | 3 | 4 | 24—17 | 17 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 15 | 5 | 6 | 4 | 20—12 | 16 |
| „აგული" (ახალქალაქი) | 14 | 7 | 1 | 6 | 17—20 | 15 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 14 | 5 | 3 | 6 | 20—14 | 13 |
| „ელმავალმშენი" (თბილისი) | 15 | 6 | 1 | 8 | 22—25 | 13 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 15 | 5 | 0 | 10 | 26—30 | 10 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 13 | 4 | 2 | 7 | 11—20 | 10 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 15 | 4 | 2 | 9 | 16—30 | 10 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 14 | 3 | 3 | 8 | 18—23 | 9 |
| „ფარვანა" (ბოგდანოვკა) | 13 | 2 | 4 | 7 | 13—25 | 8 |
| „განთიადი" (კასპი) | 14 | 1 | 3 | 10 | 12—35 | 5 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" (ხობი) | 12 | 6 | 5 | 1 | 19—7 | 17 |
| „განთიადი" (აბაშა) | 12 | 6 | 5 | 1 | 14—5 | 17 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 12 | 7 | 2 | 3 | 20—13 | 16 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 12 | 6 | 3 | 3 | 39—10 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 11 | 5 | 3 | 3 | 14—11 | 13 |
| „დინამო" (ოჩამჩირე) | 12 | 4 | 5 | 3 | 10—10 | 13 |
| „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) | 12 | 3 | 6 | 3 | 15—12 | 12 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 13 | 3 | 6 | 4 | 11—9 | 12 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 12 | 3 | 6 | 3 | 11—15 | 12 |
| „რიწა" (გუდაუთა) | 12 | 3 | 5 | 4 | 14—25 | 11 |
| „განახლება" (ადიგენი) | 11 | 3 | 4 | 4 | 12—17 | 10 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 13 | 2 | 5 | 6 | 12—22 | 9 |
| „კოლხეთმშენი" (ფოთი) | 12 | 2 | 2 | 8 | 10—23 | 6 |
| „განთიადი" (ტყიბული) | 11 | 0 | 2 | 9 | 5—30 | 2 |

ზურაბ რატიანი

# ქართველი ყოჩი

მოთხრობა

გულდინჯი ბიჭი კი იზრდებოდა იორამი, მაგრამ ბიჭი იყო და აბა, რა გასაკვირია, რომ თამაში უფრო უყვარდა, ვიდრე ყოველდღე გაკვეთილების სწავლა. ოღონდ ჩხუბი არ უყვარდა იორამს. როცა სხვები წაეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, იორამი მაშინვე გააშველებდა. ისე დაჯერებული გააშველებდა, არც ერთი მოჩხუბარი არ შეეპასუხებოდა. საოცარი იყო: იორამს არასოდეს უჩხუბია და უბნის პირველი ყოჩი კი შეერქვა. არავინ იცოდა, ვინ დაარქვა და როდის, ოღონდ ყველა ასე ეძახდა.

ბიჭები ჩხუბობდნენ. იორამი აშველებდა. გადიოდა თვეები, წლები.

— უბნის პირველი ყოჩი, მაშ! მაგის მოქნეული მუშტიც არავის უნახავს და უბნის ყოჩიო, — ჯერ გაუბედავად, თავისთვის, მერე უკვე ხმამაღლა გაიძახოდა გარსია.

გარსია ხვლიკივით ბიჭი იყო და წყნარი იორამი არ უყვარდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ არ უყვარდა. მთელი უბნის ბიჭებმა იცოდნენ, რომ გარსია და იორამი დღეს თუ არა, ხვალ დასცხებდნენ ერთმანეთს. ამ ბოლო დროს მაინც სულ გათავხედდა გარსია. იორამი აინუნშიც არ აგდებდა გარსიას ყიამყრალობას, მაგრამ ბიჭები ვეღარ ითმენდნენ.

— იო, ეგ რა გითხრა, ა?

— მაგას სანდროც არ მოითმენდა!

სანდრო ერთი გაკნაჭული ბიჭი იყო. იორამი უხერხული ღიმილით უპასუხებდა ბიჭებს, გარსიას კი ზედაც არ უყურებდა.

გარსიას გულში უხაროდა:

— ეშინია, მა რა არი, აგე, თქვენი პირველი ყოჩი!

ამასაც ჯერ გაუბედავად, თავისთვის ფიქრობდა, მერე ხმამაღლა, ყველას გასაგონად გაიძახოდა. ჰოდა, ყველამ გაიგონა, ადგნენ და იორამსაც გააგონეს.

— ეშინიაო?! — გაიკვირვა იორამმა, ჩაიცინა და ბიჭებს გადახედა.

ბიჭები დაიბნენ და ვეღარაფერი უპასუხეს.

— კარგი, მაშ ვნახოთ, — ჩაილაპარაკა იორამმა და წავიდა.

„ვერ გამიგია, რა უნდათ ჩემგან? არავინ გამილახავს, მაინც იძახიან, პირველი ყოჩიაო. საიდან მოიგონეს?! ახლა გარსია იჩემებს პირველობას. რა დაჩემება უნდა, ვისაც ეჩხუბა, ყველას სცემა... ჩხუბზე რომ იყოს... არა, ეტყობა, ყოჩობა მარტო წარამარა ჩხუბი და აყალ-მაყალი არ არის. ჰმ, მარტო ჩხუბზე რომ იყოს... ჯანდაბას, იძახოს. ოღონდ აქ რაღაც სხვაა. რა არის, ვერ გამიგია, ოღონდ ეს რაღაც სხვა — ჩხუბზე უფრო დიდი რამ არის. ამას ვერ დავუთმობ. რას?! რა ვიცი, ოღონდ ამას ვერ დავუთმობ“, — ფიქრებში გართული იორამი პურზე მიდიოდა.

— რას ჩაფიქრებულხარ, იო, ორი? — ჰკითხა პურის გამყიდველმა.

— ჰო, ძია თედო, ორი, რა ვიცი... ისე.

— ჰაა, იო, ჯეელი ხარ, გოგოზე დარდობ, აი!

— არაა... — გაწითლდა იორამი და მაღაზიიდან გამოვიდა.

თავის ეზოს რომ მიუახლოვდა, ერთი ჭრიამული შემოესმა. ფეხს აუჩქარა და თავპირდასისხლიანებული გარსია დაინახა. ბიჭები შემოხვეოდნენ.

— ვინა სცემა? — იკითხა იორამმა.

— იო!..

— იო!.. — მიაყარეს სხაპასხუპით ბიჭებმა.

— იო, იქით ეზოში რო მიხაა, იმან აზიარა. ესე თქვა, თუ უნდა თქვენს იოსაც ეგრე დავამუშავებო! — ხმის კანკალით უთხრა სანდრომ.

— ახლა სად არის?

— წავიდა, ახლა დავიღალე და ხვალ მოვალო.

— კარგი, მოვიდეს, — წყნარად თქვა იორამმა და პური შინ აიტანა.

მეორე დღეს მიხა არც მეორე მოსულა საჩხუბრად. სადღაც გაეგო, იორამი ჭიდაობაზე დადისო და შეფიქრიანებულა. არა, თავისი სიტყვები საჯაროდ უკან არ წაუღია, ოღონდ იორამთან შეხვედრას ერიდებოდა. მაინც შეხვდა.

— მიხა, გამარჯობა! — მიესალმა იორამი.

— გაგიმარჯოს, იო, როგორა ხარ? — დაიბნა მიხა.

— ვარ, შენ რას შვრები?

— აი, კბილი მტკივა და ექიმთან გავრბივარ.

— ხო არ გეშინია, ბიჭო? — გაუღიმა იორამმა.

— ვისი? — წამოიჭოჩრა მიხა.

— ვისი და კბილის ექიმისა.

— მე არავისი არ მეშინია! — იყვირა მიხამ.

— რა გაყვირებს, ბიჭო, ეგ მე ისედაც ვიცოდი.

— რა იცოდი!

— შენ რომ უშიშარი და გულადი ხარ.

— შენ რასაც ღურღავ, გირჩევნია ეგრევე ჩამოფქვა!

— რა უნდა ჩამოვფქვა, გულადი ხარ-მეთქი და ეგ არის.

— უუ, ახლა კბილი არ მტკიოდეს!..

— კარგი, წადი, მოირჩინე და მერე მითხარი, რაც გინდა.

მიხამ ვერც მერე გაუბედა რაიმე იორამს.

სკოლა რომ დაამთავრა, იორამი უკვე თბილისის ჩემპიონი იყო თავისუფალ ჭიდაობაში. ქვემძიმე წონაში ჭიდაობდა. სამშენებლო ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. ახლა უფრო მორიდებით ექცეოდნენ, ახლა უფრო გრძნობდა სიმძიმეს იორამი. ეს სიმძიმე იმ ტვირთის იყო, ბავშვობიდან რომ აჰკიდეს. ვინ ან როდის აჰკიდა, ეს არც იორამმა იცოდა და არც სხვამ. სხვები ხან ისევ იბავშვებდნენ თავს, ხან თვრებოდნენ, არშიყობდნენ, ძიძგილაობდნენ. იორამი სხვაგვარად იქცეოდა. ხანდახან მოუნდებოდა ამჩატება, ის სიმძიმე არ უშვებდა. ზოგჯერ ერთ-ორ ჭიქას გადაჰკრავდა ბიჭებთან ერთად. მერე გაუტკბებოდა, დათრობაც ეპრიანებოდა, მაგრამ... ისევ ის სიმძიმე არ უშვებდა.

— მეტს ვეღარ დავლევ, ბიჭებო, ხვალ ვარჯიში მაქვს.

— კარგი, რა!..

— არ შემიძლია, — წყნარად იტყოდა იორამი.

ასეთ დროს ყველა ბიჭი იგიწყებდა ურყევ წესს — თუ არ სვამ, ვაჟკაცი არა ხარ, — და იორამს აღარ აძალებდნენ.

ზოგჯერ გოგოსთან გაარშიყებაც მოუნდებოდა იორამს, მაგრამ ისეთი მკაცრი სახით ეტყოდა რამეს, დამფრთხალი ქალი უმალ შორდებოდა. მარტო ის გაწრიპული გოგო არ შეუშინდა.

— ბიჭო, რას იბღვირები, აქაც საჭიდაოდ ხომ არ ემზადები? — გაუცინა ცისიამ.

— შენთან?! — წამოსცდა გაკვირვებულ იორამს და გაწითლდა.

— უ, შე უშნო! ეგრე უნდა უთხრა გოგოს? — დასცინა ქალიშვილმა.

— შენ კარგი გოგო ხარ, ცისია, — ჩაიბუზღუნა იორამმა.

— წამიყვან კინოში? — აღარ ეშვებოდა ქალი.

— ჰო, წავიდეთ.

იმ დღეს იორამმა პირველად გააცდინა ვარჯიში.

* * *

მეორე კურსის სტუდენტი იყო იორამი, საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა. ისევ ქვემძიმე წონაში ჭიდაობდა.

ზამთარი იყო, თბილისური, უთოვლო, თბილი ზამთარი. გულშემატკივართა ჯარი დამშეული იყო და ხარბად ეტანებოდა ყველა შეჯიბრებას. ჰოდა, ასეთ დროს ხმა დაირხა — ირანის ნაკრები ჩამოდისო. დაიძრა გულშემატკივართა ლაშქარი და სპორტის სასახლეს უზარმაზარ ტალღად მიასკდა. ვეება სასახლის კედლებმა კი გაუძლეს იმ ტალღას, ოღონდ დარბაზმა ყველა ვერ დაიტია. ადგნენ და ტელევიზორებს მიუსხდნენ დარჩენილები.

ის იყო საშუალო წონის მოჭიდავეები გავიდნენ ხალიჩაზე, რომ იორამს მწვრთნელი მიუახლოვდა:

— აბა, შენებურად, იო, ხომ იცი, დღეს მძიმე წონაში გამოხვალ.

ალბათ ისევ მეხუმრებაო, გაიფიქრა იორამმა, არაფერი უპასუხა და გაიცინა.

— რას იცინი, ბიჭო, კი არ გეხუმრები, — გაუმეორა მწვრთნელმა.

იორამს გაახსენდა მისი გუშინდელი ნათქვამი. ისიც გაახსენდა, აწონვისას რომ უთხრა — ნეტა რას ჩაჰკირკიტებ მაგ სასწორს, ხომ მაინც მძიმეში გამოდიხარო. ახლა კი დარწმუნდა, რომ მწვრთნელი სულაც არ ეხუმრებოდა. შეცბა და აბუზღუნდა:

— ეს როგორ... მე წინასწარ არაფერი ვიცოდი...

— იმან კი იცოდა? — ჰკითხა მწვრთნელმა მეტოქეზე.

— ის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია! — გაცხარდა იორამი.

— ჰოდა, უფრო შეეშინდება, სულ უცნობ მოჭიდავეს რომ დაგინახავს. იფიქრებს, ეს ბიჭი ალბათ დიდხანს ემზადებოდა, ისე როგორ გაბედავდა გამოსვლასო. ნახავ, თუ არ დაფრთხეს ის შენი ორგზის ჩემპიონი!

იორამმა იცოდა, მწვრთნელი მის გასამხნევებლად ამბობდა ამას, თორემ ირანელს იორამის დანახვაზე გული არ წაუვიდოდა.

— გუშინ მაინც გეთქვათ წესიერად!.. — უკმაყოფილოდ ჩაიდუდღუნა იორამმა.

— გუშინ რომ გადაჭრით მეთქვა, ღამე არ დაგეძინებოდა, დღეს კაცად აღარ ივარგებდი.

— ვითომ ახლა არა ვღელავ? — ვეღარ შეიკავა თავი იორამმა.

— ახლა, შენი ხასიათი რომ ვიცი, იმდენ აღელვებას ვერ მოასწრებ. რა იყო, ბიჭო, ხომ არ შეგეშინდა? — შეუბრუნა უცებ მწვრთნელმა.

— ჰოო, კარგი, შემეშინდა! — მუქარით ჩაილაპარაკა იორამმა.

მწვრთნელი უსიტყვოდ გავიდა გასახდელიდან.

— რაო? — დაესივნენ ჩასაფრებული ბიჭები.

— დედას ვუტირებო! — ნიახარა მწვრთნელმა.

ქვემძიმე წონაში იორამის ნაცვლად გამოსულმა ფალავანმა წააგო.

დარბაზი კინაღამ დაინგრა სტვენით და მწვრთნელების ლანძღვით. მართალია, ჩვენები ერთი ქულით მაინც წინ დარჩნენ, მაგრამ მძიმე წონის მოჭიდავეს რომ წაეგო? ფუ, თანაც შინ? არადა, წააგებს, ნაღდად წააგებს. კრაწაშვილი რას გახდება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან?! მუხაძე მაინც იყოს. რაღა ახლა აუტყდა იმასაც გრიპი და სიცხე, ეს ექიმებიც გადარევენ ხალხს, გრიპიც ვერ მოურჩენიათ!.. უნდა დახოცოს კაცმა ეს მწვრთნელები! იორამს ნაღდი მოგება ჰქონდა ქვემძიმე წონაში და არ აჭიდავეს. ახლა მძიმეში ეს ბედოვლათი კრაწაშვილიც წააგებს და... უჰ, ეს დოყლაპია მწვრთნელები! იქნებ?.. ა!.. არა, ტყუილია! ნუ გიყვართ ეგ ჭორები! ა?! ჩუ!.. ვინაო? იორამიო?! იორამი!

— იორამ! მიდი, მიდი, შენი ჭირიმე, მიდი, დასცხე მაგას! მიდი, იორამ, იორაამ! — ინგრეოდა დარბაზი.

როცა იორამმა მისკენ წამოსულ მეტოქეს ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი, მოეჩვენა, რომ მთელი დარბაზის ხელები ჩასჭიდა ირანელის მარჯვენას. გამობრძმედილმა ფალავანმა ჩაიღიმა — ხელის ჩამორთმევით ქალები შეაშინეო. იორამი მიუხვდა მეტოქეს და ტუჩი მოიკვნიტა. გამწარდა და რატომღაც თავპირდასისხლიანებული გარსია გაახსენდა. მერე კბილატკიცებული მიხა. „ნეტავ სად არიან ახლა? ალბათ სხვებთან დარბაზში და ფერწასულები კანკალებენ. რა ალბათ უნდა ამას! ახლა რომ წავაგო... ახლა რომ წავაგო!.. აგე, თქვენი პირველი ყოჩიო, იტყვის გარსია... არა... არაფერსაც არ იტყვის, არც მიხა იტყვის... არა?“ — ეს ერთ წამში გაიფიქრა.

პირველმა ოთხმა წუთმა მშვიდად ჩაიარა, მშვიდად ხალიჩაზე, თორემ დარბაზი დანგრევას ლამობდა.

„ქართველები ფიცხი ხალხია, თან ეს სულ ჯეელია, წამოეგება“, — ფიქრობდა ირანელი და განგებ ზანტად, თითქოს მოშვებულად მოძრაობდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ოცდარვა წლის, მაღალი, შავგვრემანი, კლდესავით ვაჟკაცი იყო, იორამი — ირანელზე მაღალი და მხარბეჭიანიც, ოღონდ ისე წვრილი წელი ჰქონდა, იტყოდი, ცოდოა ამისი ჭიდაობაო. თან იორამი მხოლოდ ოცი წლისა იყო.

მეექვსე წუთზე მსაჯმა ორივე მოჭიდავე გააფრთხილა. ირანელი გააქტიურდა. იორამი უკან იხევდა. დარბაზი მიყუჩდა. მსაჯებიც დაიძაბნენ. აჰა, ქულა აართვა ირანელმა იორამს.

— წააგებს, არ უნდა გაგეყვანათ, — უთხრა იორამის მწვრთნელს ერთმა ჟურნალისტმა.

— არ წააგებს! — ჯიუტად თქვა მწვრთნელმა.

ჟურნალისტი მიხვდა, რომ ეს უფრო თავის გასამხნევებლად თქვა მწვრთნელმა.

ირანელმა კიდევ ერთი ქულა აიღო. „ახლა რომ წავაგო“... — უწივის ყურებში იორამს და თვითონ უტევს. უტევს და კიდევ აგებს ქულას. ვერც ერთი ქულა ვერ აიღო და მაინც არ ეშვება.

„მთავარია, არ ავღელდე, აღელვებული კაცის წაქცევა ისევე ადვილია, როგორც მთვრალის“, — თავს იმშვიდებს იორამი.

რჩება ორი წუთი. დარბაზი უსტვენს იორამს, აგინებს მწვრთნელებს, ყველას და ყველაფერს ქვეყანაზე, თვითონ ქვეყანას.

ისევ წინ მიდის იორამი. ირანელს უხარია და ისევ ემზადება ილეთისთვის. უცებ ეს ზღვა ხალხი გაირინდა. ირანელის ვეება სხეულმა წამით ჰაერში გაიელვა და... სუნთქვაშეკრულ დარბაზში ყრუდ გაისმა მძიმე სხეულის ხალიჩაზე დაცემის ხმა. ჯერ ისევ სიჩუმე ჩამოწვა. თითქოს დარბაზი ერთბაშად დაცარიელდაო, მერე კი იქუხა:

— იორაამ! იორაამ!

— შენი ჭირიმეე!

— გაუმ... [illegible]

დარბაზი [illegible] ... იორა[illegible] ... ვეება ირანელი და გადაკოცნა.

არც ის ახსოვს, როგორ აღმარ... სი მარჯვენა მსაჯმა.

არც ის, როგორ აიტაცეს ხელ... ნაგუნდელებმა.

იორამი გასახდელში მიმოდიოდ... რა და ვერ ჯდებოდა, ვერც ფ... იხდიდა, ვერც შეკითხვებზე იძლ... პასუხს.

— რა ვიცი... ალბათ ქულებ... აიღო, ამით გათამამდა ირანელი... დრო ვიხელთე და... სხვა თქვენც ... ა?.. ყველაზე უფრო რამ გამამხ... — ჩაფიქრდა იორამი. — რა გით... ჰო... ყველაზე უფრო?.. ყველაზე უ... ჩვენი უბნის ბიჭებმა გამამხნევ... თქვა მოულოდნელად.

— უბნის ბიჭებმა?! — ვერ... გაიგეს ჟურნალისტებმა.

— ჰო, ბიჭებმა. არ ვიცი, დარ... იხსდნენ თუ არა... მე კი ყველა ... დავინახე, ჩვენი უბნის ბიჭები.

— იო, მომილოცავს! — გასახდ... საიდანღაც თავი შემოჰყო კნაჭა ... რომ.

იორამს მეგობარს გადაეხვია.

— იო, გარსია იძახოდა, იომ შე... ვევით მოუგოო და მიხამ ისეთი სტ... რომ ხმა ჩააწყვეტინა. იო, ხო ... ვით არ მოიგეა, ხო არ მოე... ხვევით? — სხაპასხუპით მიაყარა ს... რომ.

იორამმა თავისებურად ჩაიღიმ... დინჯად ჩაილაპარაკა:

— ჰმ... რა ვიცი... აი, გაისად მ... ლით მირველობაა და ვნახოთ... იცის, იქნებ იმ ირანელთანაც მომი... შეხვედრა...

## ქარიშხალიც ვერ აშინებთ

ორიოლი, 19 ივლისი. 200-... ლომეტრიან სამკუთხა მარშრუ... პლანერით ფრენაში ქვეყნის ჩემ... ონის სახელი მოიპოვა უკრაინე... ე. რუდენკომ. მან საასპარეზო მ... ძილი 3 საათსა და 15 წამში ... ფარა.

გზა გამარჯვებისკენ რთული ი... პლანერისტებს განსაკუთრებით ... უჭირდათ ბოლო ეტაპზე ... ლოარხანგელსკიდან ორიოლ... ამ მონაკვეთზე მათ კედლივით ... დაელობათ ძლიერი პირქარი. მაგრ... მონაწილეთა უმეტესობამ ეს და... რკოლებაც წარმატებით დაძლია.

ქალებში გაიმარჯვა ახალგაზრ... პლანერისტმა ვ. ქელტოვამ (რუს... თის ფედერაცია).

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობ... უკრაინის სპორტსმენები. შემდე... ადგილებზე არიან ლიტველი ... მოსკოველი პლანერისტები.

## საზღვაო ჯანსაღობისკენ

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## 23 ივლისს

თბილისში პროფტექგანათლების კულტურის სახლში (ბუდაპეშტის ქ. № 1) შედგება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს V საიუბილეო პლენუმი, რომელიც საკავშირო „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავს ეძღვნება.

დასაწყისი 10 საათზე.

## მკითხველთა საყურადღებოდ

„ლელოს“ რედაქცია გადავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობის ახალ კორპუსში (შესასვლელი ბელინსკის ქუჩიდან). ჩვენი ტელეფონებია: სამდივნოსი — 93-95-30, მასობრივი ფიზკულტურის განყოფილების, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებისა — 93-95-14, ფეხბურთის განყოფილებისა — 93-95-41, წერილების სექტორისა — 93-95-40, ლიტმუშაკებისა — 93-95-11, ფოტოლაბორატორიისა — 93-95-16.

## სპორტული დებიუტი... 75 წლის ასაკში

ვორონეჟი. სარბენ ბილიკზე შეჯიბრებებისთვის მზადებით გართულ ახალგაზრდებს შორის იშვიათად შეხვდებით ადამიანს... 75 წლის ასაკში. სწორედ ამიტომაა, რომ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩასკვნილი, თეთრწვერა მოხუცი ერთბაშად იქცევს ყურადღებას. აი, იგი ენერგიულად ამოძრავებს ხელებს — სწრაფად დადის სტადიონის ბილიკზე. ეს მოხუცი ვასილი ვლადიმერის ძე სმეტანინი გახლავთ. ვორონეჟს იგი მოსკოვის ოლქიდან ჩამოვიდა — „ბურევესტნიკმა“ მოიპატიჟა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. ისიც საგულისხმოა, რომ სმეტანინი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამოვა.

საინტერესოა ამ კაცის ბიოგრაფია. რევოლუციამდე მემამულის სამსახურში ძვრებოდა სიქა. მერე 4 წელიწადი არმიაში იმსახურა. შემდეგ გლეხკაცობდა, 1960 წლამდე უბრალო მუშად იყო საბჭოთა მეურნეობაში. 67 წლისამ კი ქ. ბალაშიხაში (მოსკოვის ოლქი) დაამთავრა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება და თავის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად დაიწყო მუშაობა. მხოლოდ წლეულს აპირებს პენსიაში გასვლას.

შეკითხვაზე — როგორ შეძლო ჯანმრთელობისა და სიმხნევის შენარჩუნება, ასეთ პასუხს იძლევა: „საგანგებოდ სპორტს არ მივსდევდი, მაგრამ სამუშაოს გამო თითქმის ყოველდღე 40 კილომეტრს ვფარავდი: ჩვენს საბჭოთა მეურნეობა „ვორონოვოს“ თვალუწვდენი მინდვრები აქვს, მაგრამ მე თავის დღეში არც ცხენით მისარგებლია, არც ავტომანქანით. და აი, ახლა 10 და 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ვიასპარეზებ“.

წვრთნის შემდეგ სმეტანინს სისხლის წნევა გაუსინჯეს. 127-70 — ასეთ მაჩვენებლებს ყოველი ახალგაზრდა ინატრებდა.



სურათზე: ვ. სმეტანინი საწვრთნელ ბილიკზე ვარჯიშის დროს.
ფოტო ვ. კოშევნიკოვისა (საკდესი).

ИНДЕКС 66446 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04180